16/11/2021

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში ახალი ტაძარი გაიხსნა [ფოტო]

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია სასიხარულო სიახლეს აქვეყნებს

,,ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას კიდევ ერთი ახალი ტაძარი შეემატა. ზუგდიდში, გამსახურდიას ქუჩაზე, წმინდა მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს სახელობის ახალი ტაძარი აკურთხეს. საზეიმო წირვა-ლოცვა ზუგდიდსა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმე და მიტროპოლიტმა სერაფიმემ აღავლინეს.

ტაძრის კურთხევას ექწრებოდნენ საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის სახვადასხვა ეპარქიების სამღვდელოება და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ტაძრის მშენებლობას საფუძველი ორი წლის წინ ჩაეყარა. პეტრე და პავლეს სახელობის ტაძრის ქტიტორები -ძმები- თენგიზ, ვახტანგ და ალექსანდრე ხარებავები არიან” – წერია ეპარქიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდზე.



zugdidi-tsaishi.ge

zugdidi-tsaishi.ge

zugdidi-tsaishi.ge